



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93221823

თარიღი:01/07/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-4, მე-5 პუნქტების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე (საკადასტრო კოდი:N54.01.56.222) ორსართულიან შენობაში (ყოფილი N2 საშუალო სკოლა) პირველ სართულზე არსებული სართულის-48.36 კვ.მ, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადასცეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სატრენინგო სივრცის მოსაწყობად.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ივანე ხაჩიძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

